და ვერა, თვალსრემიანი და გულდაწყვეტილი ვლადიმერ შენი წინაშე. დეე, მეგობარო, ჩვენმა ცრემლებმა გაუწყოს (თუ იუწყებ აწ) ის თვლილი გრძნობა, რომელიც გაკეპირება ახალგაზდა ქალს ახალგაზდათა გუნდთან. ჩვენ კარგათ ვგრძნობთ, რომ შენი დაკარგვით ჩვენმა კუთხემ ერთი პატიოსანი და სწობიერი მუშაკი დაკარგა. კარგათ ვაჩნევთ, თუ რა ნორჩი, ბუნდარევი, გამოურკვეველია ჩვენი იდეოლოგიური სფერა; ჩვენთვის თვალსაჩინოა სრუბრტლივენტების რიცხვთა სიმრავლე, მათი აზრთა არეულობა; პირ ბადის ქვეშ კარგათ ვარკვევთ მათ ნამდვილ ცბერ სახეს და ამიტომ თავყნს ეცემთ შენი წინადაცხედარს, რომელიც დღეს კიდევ მოავიწყებს შენი დაძქვებს თავის ნამდვილ მოვალეობას; ფის დადებენ შენი საფლავზე, რომ შენი მიერ შეყვარებულ საქვეს უბნოთ და შეუარეკლათ ემსახურონ. ვერც შიში და ვერც სარკებლობა ვერ აცდენენ მათ ერთხელეე ნაპოენ ქეშპარტუ გზას, მთელი თავისი ძალღონით ემსახურებიან შენი დიდ მცნებას და შენთვისაც ეს იქნება საუკუნო ხსენება შენი დამაპყვენებელი გვირგვინი მით დაკედება, ჩვენთვის ძვირფასო ადამიანო!



ვერა ჯავარიძის ასული.

მებრ მის დახმარებას. იგი სხვა თავის საყვარელ ამხანაგებთან მ. იოსელიანისა და მარიამ ვარდასანიძის ქალბებთან ერთათ აარსებს ქუთაისში საკვიარო სკოლას. მაგრამ ეს მას ვერ აკმაყოფილებს და მთელი თავის არსებით ეწაფვის მეცნიერებას და დღევანდელი კითხვების შესწავლას. ის, საკმაოთ განვითარებული და ვაგებულო, ძალიან მოკლე დროში დადგა მთელ თავის საზოგადოებაზე მალდა, შეიქმნა ნამდვილი, შეგნებული ინტელიგენტი, რომლის მხაგესი ასე იშვიათია, არა მარტო ქალთა შორის, არამედ ამჟენ „კურსანეიკებთა“ შორისაც. ჩვენ მასში ეპოულობთ ისეთ ადამიანს, რომელიც ვერ კმაყოფილება ჩვეულებრივი მოღუწებულის ცხოვრებით, ის ხელს იწვედის შორს მომავლისაკენ; მან წინ წადგა ერთი დიდა ბოჯი და ეს ჩვენმა პატარა საზოგადოებამაც იგრძნო, იგრძნო მისი არსებობა ზე მისი სემპატური მოღვაწეობა. საზოგადოება რომელიც ასე ღირსებას სსიქადულო მისწრავების მატარებელი ადამიანებით, რომლის მიმდინარეობაც რაღაც უფერულ-

ამავე საგანზე განსვენებულის ერთი მოწაფეთვანი ბ. ბართ. კილაძე გვერს შემდეგს:

მე, ამ პუკარების დამწერი და მოწაფე განსვენებულისა, ნამდვილი მოწაფე ვარ იმისა, რომ გარდა საკვიარო სკოლაში მცადინებობისა, იგი უფასოთ ასწავლიდა რამდენსაც მქაწილეს (განურჩეულათ სარწმუნოებისა და წოდებისა) წერა-კითხვასა და ანგარიშს თავისსავე სახლში საღამოობით; აძლევდა აკრეთეე მოსწავლეებს სხვადასხვა სასწავლო ნიეთებს უფასოთ. მიუხედავით იმისა, რომ ქონებრივ საშუალებას თითონაც მოკლებული იყო, თავისი შრომაჯავით ნაშოენი ფულით შეასრულებდა სწავლა ერთ ძმას ი-ნეს ქუთ. ღმნაზიაში და უნივერსიტეტში გაჯავნა, ხოლო მეორეს გაათვებია სამეურნეო სასწავლებელი.

ძვირფასო ვერა! შენი მოკელი, მოცილილი ჩვენი ვერს და ქვეყანას, იმ ქვეყანას, „სადაც სამკალი ფედა არს, ხოლო მომკალი მკირიდე“, მარა შენი კეთი-

ლი საქმენი და ხსენა დაუფიქვარ იქნება შენს ამხანაგებს და მოსწავლეთა შორის.. და ჩემთან ერთათ უკანასკნელათ გულდაწყვეტით გემშვიდობებთან ჩემნი ამხანაგნი და შენი საკერაო სკოლის მოწაფენი, რომელთათვისც შენ შეიქმენი ფარანი და შემკობელი და ჭეშმარიტი მასწავლებელი.. საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, ძვირფასო ვერა.. ვისურვებთ, რათა შენ ნაცლათ სხვა მოგვეცინოდაღს შენებრ უანგარო, დაულალავი და პატიოსანი მუშაკი..

მეზაურის ქენიძენები 1)

(ქ. მიუხსენია. 2)

მაღასია. ოთხ სართულიან შენობას, რომლის წინა კედლის ადგილი თითქმის სულ მუშას უჭირავს, დიდი ასობით აწერია: Waarenhaus — სავაჭრო სახლი. მუშასთან გამოფენილია აუარებელი საქონელი, რას არ ნახავთ აქ! ლურსმანი და ოქროს კოვზები, ფარხა და ნარმა, ძვირფაი ხალაჩა და ფქვილის ტრამარა, ქაღებ ს „შილკები“ და ჩემქმის ჩოთქები, კორსტები და საწერ-კალამი, კლინდრები და ფელოს-პედი, — ყველა ესენი და მილიონი სხვა რაც მუშის კედელთანაა გამოწყობილი. შედხარათ მიგნით, ტყე აღარაა, მუშტრები ბუზებივით ირევიან. ნოჩრები შეუჩერებლედ ფაჯა-ფუტში არიან. მარა ეს ნოჩრები ჩვენებურ ნოჩრებს არ გეანან, შარკლემბის მაგივრათ კაბები აკეთია, — ყველა ახალგაზდა გასათხოვარი ქალები არიან. ამ უზარ-მზარ მაღასიაში, რომლის ოთხივე სართლი სულ სხვა და სხვა საქონლითაა გამოკედლილი, ვერც ერთ მამაკაც ნოქარს ვერ ნახავთ, — სულ ქალები და ქალები. მოთხოვეთ რაც გსურთ, — სწრაფათ მოგიტანენ; არ მოგეწონათ, — ათასს სხვას გადმოგივლენ და გიჩვენებენ. თან გიციონიან და გიციონიან, ეს მიუხსენელი ქალის ჩეულებეა, საზე მას მუდამ უნდა ულომოდეს, უმისრათ არ შეიძლება, წლები გსურთ, მავალითათ: დაგვამს სკამზე, გავზდის ფეხს ეს ღამაში ქალი და გაქმეც ახალს მოსარგებათ. თქვენ ე და დაქცეოთ და თან, თუ შილათ გულქვა ადამიანი არა ხართ, უქველათ გეკოდებთ მისი ნაზი ხელები, რომ ასეთ პროზაულ საქმეს ასრულებენ. ან და პერანგის ყიღვა გინდათ: მოდის თქვენთან და კისერზე შემო-

გვეხვეათ... ნუ აქარდებით, — ის კისრის ზომას ითვებს, რომ პერანგი შესაფერი ზომის მოგართვით. ეს განზრმა შორიდანაც შეიძლება, ჩასაკვირელოა, მარა მიუხსენელი ქალი ეშმაკია, ყველაფერ საქმეში ეშხი უნდა გამოიჩინოს უქველათ. უნდა ნახათ, როგორ შემოგუქერისთა, როგორ შემოგუცინისთა, მისი თვალბიროგორ ელავენ, როგორ შეუს ისერან! ნათლათ კითხულობთ ამ თვალბეში: „ღამაში ვარ, განა, ღამაში ვარო?“ და მართლაც ღამაშია. თუ მაღასიაში ცოტა ხალვათობაა, შემოგხვევა ირკელივ რამდენიმე ქალი, მოგიწყვედვენ შუაში და ვინ იცის რაზე და როგორ არ გვესმობებთან. გამჭორაობა გინდათ, რომ ყველას პასუხი მისცეთ, მარა იხე, რომ ამოთ და გააცინოთ. მამაკაცმა ხომ მასთან მობასე ქალი უქველათ უნდა აქოს, განსაკუთრებით სიღამაშის მხრივ, — ეს ელაქას თუ რალქას ასე დაუწესებია. მიუხსენის მაღასიაშიც ეს მოვალეობა ვაწვეთ კისერზე. ვინც გამოცდილია, იმისთვის, ჩასაკვირელოა, ეს ძელი შესასრულებელი საქმე არაა. ერთს ტურქის მოყოწივით, მეორეს წელი, მესამეს ლოყები, მეოთხეს გულ-მკერდი და სხვ. — მათ ეს ძალიან იაშებათ, სიამოვნების გამო გულიანათ იციონიან. ვილას ასასავს ნაყიდი და გამოჩრეული საქონელი! ან ჩვენებური ვაჭრობა ე. ი. „ჯანჯლობა“. მარა ეს არცაა საქირო, აქ ჯანჯლობა არ იციან. ერთხელ ნათქვამი იფი ბექელია, იმას აღარ მოაკლდება. ძვირია, იფი, — ამის გასჯის თავი მაინც აღარ გაქეთ, ქალები საქმეს გიკარებენ, ჯობს ქესატობას გაეწყვიტებენ. ყიდულობთ, ხარჯავთ ფულს და აღარ დასტირით დანახარჯს...

მთელ მიუხსენში ვერ ნახავთ ვერც ერთ მაღასიას, რომ იქ ნოქრათ ქალი არ იყვას. მიუხსენი სულ ქალებს დაუსაკუთრებიათ. ჩემი პირველი ვაჭირებება უბის წიგნშია კი ჩამიწერია. „საკვირელოა, მიწერია იქ: ეტყობა, ამ მშოლოთ ქალები იბადებიან, ვაქები არა, თორემ სად არიან მამაკაცები? ლუდ-ყუბანა რესტორანებში ქალები, მაღასიებში, ლუქნებში, ოჯახებში და აბანოებშიც კი სულ ქალები. და ეს ქალები ყველა ახალგაზდები არიან, ქალიშვილები. რისთვის არ გათხოვილან? უთუოთ ქორებს ვერ შაულობენ. თუ ვაქები არ იბადებიან, ვინა უნდა შეერთონ?!“

ასეთ შთაბეჭდილებას იღებთ უქველათ პირველათ, როცა მიუხსენში ქალთა უთვალავ გროვას ხედავთ. მაგრამ სინამდვილე კი ამას მაინც არ ეთანხმება. ნამდვილათ აქ ვაქები უფრო ბევრი იბადებიან. მხოლოთ მამრობითი სქესის უფრო ბევრი იბოცება და ამიტომ მიუხსენში ქალთა რიცხვი ყოველთვის ქარბობს კაცებისას. მაგალ., 1895 წ. დაკემბერში

1) იხ. „ქალი“, № 5.
 2) ამ წიგნის ბეჭდვა უადგილობის გამო, საქსნაროთ, დიდ ხანს შეაჩერეთ.

რედ.

მომხდარ ხალხის აღწერალობით მიუხედავად იყო 407 ათასი სული. აქედან 197 ათასი მამაკაცი, ხოლო 210 ათასი ქალი. ქალების რიცხვი მეტია 13 ათასით. უნდა გავხედოთ საღამოს 8 საათზე შუაგულ ქალაქში და გავჩრდეთ ერთ-ერთ დიდ ქუჩაში. ამ დროს მაღაზიები იცვლება, ნოქარი ქალები საქმეს ათავებენ და მიღობთ თავ თვის სახლებში. ქუჩებზე სულ ქალებით ივსება, სწორად ქალების ჯგირა! მიღან ჩვეულებრივი სიცილით, მხიარულებით. ბეგრს ამ დროს მოარზიყენი უტყდაან, შეხედებთან ერთმანეთს და მკლავი მკლავში გაკრილდნ წაუღერ ერთათ. სად? რა მოვახსენოთ. ზოგი სახლში, ზოგი ჩესტორანში და ზოგი კრდე სხვაგან.

მაღაზიები დილის რვა საათზე იღება; ამ დროისთვის უნდა მოვიდეს სახლიდან ნოქარი ქალი მაღაზიაში და დარჩეს იქ მაღაზიის დავეტამდე, საღამოს რვა საათამდე. მხოლოდ სადილის აქვეშაით ეძლევა მას შუადღეზე ერთი საათის ვადა. ამ დროს ეოსაც ღელ-მამან ან ნათესავები ჰყავს, შინ მიღეს სადილათ, ეოსაც არა—ყვანანაში, დანარჩენი დრო კი მაღაზიაშია. კერაობით მაღაზია მხოლოდ ორი საათია ღია, თერთმეტიდან პირველამდე, დანარჩენი დრო დავეტილია. ნოქარ ქალს ამიტომ თავისუფალი დრო უფრო კვირაობით აქვს. კელნერინთან შედარებით ის უფრო თავისუფალია. კელნერის ეძლევა აღისაგან მხოლოდ კერაში ან ორ კვირაში ერთხელ ნახევარი დღე თავისუფლება, ჩვეულებრივ ნაშუადღევს. ნოქარი ქალი კი ყოველ კვირა თითქმის მთელი დღე თავისუფალია. როგორ ხმარობენ ისინი ამ თავისუფალ დროს? ორივე ერთგვარათ: ერთიც და მეორეც თავის Schatz-თან, სატრფუსთან, მიღის. ეინ არის ეს სატრფო—ამაზე ქვევით.

ნოქარი ქალის მუშაობაც კელნერის მუშაობასთან შედარებით უფრო ადვილია. მისი საქმე საქონლის გაყიდვაა. მარა აქაური გაყიდვ და ჩვენებური—ეს სულ სხვა და სხვაა. შეზრძანდ თფილისის ქარვასლაში, —იქაური „შკაჩიკი“ სულის ამოგართმევსთ. მოგვიდეს საქონელს, მარა ვაი ისეთ მოყიდვებს! სანამ იყიდვეთ ღ გარეთ გიმოახწყევდეთ, ასევე ბედს დაწყევლით. იქაური თავგასული ნოქარი ყბედლობით გულს გავიწერილებს, დამაღ და არა დამაღ საქონელს ყველას კარგს ეძახის, შაურაანს ხეშ შურათ ეთვასებს. წასლთ ვანდა, —ბეგრის ან გუშევებს. ერთი სიტყვით თფილისის ქარვასლა იქ შემსელელოსისთვის ერთნაირი ტანჯვაა. მუშტართან ამ გვართ მოტყევას სომხური ვაჭრობა ჰქვია. აქ, მიუნხენში, ევრათერ ამგვარს ეერ ნახეთ, რასაკვირეულია. აქაური ნოქარი ქალი თავის თავათ არც გიქვბსთ, არც გიძიავებსთ საქონელს. ის გინეენებს ყოველ-

ნარი საქონელს, ამორჩევა და ყიდვა თქვენ გერმანა და ჯიბეზე ჰქვია. ის გეტყვისთ თავის აზრს მაშინ, როცა დაეკითხებით, მის აზრს ჰკითხავთ. მისი მოვალეობა საქონელი გიქვენოსთ და ამას კიდევ ასრულებს. როგორი და რა ფასის საქონელიც გინდით, ისეთს გიქვენებსთ, გლახასაც და კარვასაც. რაც უფრო კარგა საქონელი, რა თქმა უნდა მეტი ფასი აქვს. ფასს ნოქარი კი არ ეოვანებს, ეს თვით საქონელს აწერია. ამორჩივეთ, რაც ესურთ,—გამყიდველი ქალი ანკარის შეადგენს, ამას თქვენ კასსაშა წარადგენთ, ფულს ვადისდით, ადრესს დატოვებთ და ნაუჭარს ნახევარი საათის განმავლობაში სახლში მიიღებთ. არ მოვეწონათ საქონელი, მაშინაც არაივე გიქურთ და როგორც თავისუფლათ შედით, ისევე თავისუფლათ გამოხვალთ. მხოლოდ რომ არ მოვეწონათ, ეს რალაც მოუხერხებელია. უშველემელი მაღაზია სავსეა საქონლით და იქ უქვევლათ თქვენი გემოქნებისს გამოჩახავთ.

თვით მაღაზიაში ნოქარების შრომა დანაწილებულია. თითოეულ მათგანს განსაკუთრებული კლთხე, განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი. ამის მიხედვით აქეთ მათ საქონელიც ჩაბარებულთ. თითოეული ქალი ერთგვარ საქონელს ჰყიდის, მავალ. ერთი საცელებს და მათ მოწყობილობას, მეორე—ჩოთქებს, ქბილის, თმის ჩექმის და ტანისამოსის, მესამე—ჩექმებს და წინდებს, მეოთხე—ნემსებს, ლუქსმნებს, კინძისთავებს, „შაილკებს“ და სხვ. და სხვ. ამ სახით, რასაკვირეულია, მაღაზიას ბევრი ნოსამსახურე ქალი ექარებთ, და ეს ასეცაა. ჩვენებური ვაჭრის აზრით, ეს ტყუილაა ფულის გაფლანგვაა,—ბეგრ ნოქარებს ბევრი ჯამავირი ექირვებთ. მავრამ ეერობიგობა ეაჭარმა ყირათი იქის, რას ჰქვია. საცა უნდა, ის იქ კიდევ ყირათობს, მავრამ როცა საქმისთვის საქროა, მაშინ ბეგრსაც ჰხარჯავს. აი თუნდა ამ შემთხევაში. შრომის განაწილებით მაღაზიაში ყველაფერი საქმე სწრაფთ სრულდება, ეაჭრობა ვაცხარებულია და შეუჩერებლათ წარმოებს. მავრამ შეამციროს ნოქართა რიცხვი, არ განაწილოს მათში შრომა და—მთელი ეაჭრობის წეს-რიგი აერგვა. ნოქარები მუშტარებს მალე საქონელს ეერ ვადმოუღებენ, ეერ უჩვენებენ, ბეგრ მუშტარს ვახერგება, ცდა დაქირდება და ეს კი ეაჭარისთვის სახელის ვატეხნაა. ეს მოუწყობილობას, უწყეს-რიგობას ნიშნავს და მუშტარებიც მოაკლდებიან.

ფ. პარტიშვილი.

(შემდეგი იქნება)



„ქართლის ცხოვრების“ გადმოცემა

ქართული ენის შემოღების შესახებ

(პ. მარის საზოგადოებრივი წყობის გამო)

(გაგრძელება *).

წინა, რომ ვამბობთ, ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ადამიანის განაწიერებული სხეულის შემდგარი სიტყვები, ამიტომ ჩვენ აქ არაფერს ვიტყვი არც ცხოველების ენაზე და არც ავრთ წოდებულ მიმიკურ ენაზე (სხეულის ნაწილების მოძრაობა) თუც ყველა ენის დასაწყისი, სათავე აქ მარხია. განაწიერებული ენა ერთი საათის საქმე როდია და არც ერთი საუკუნის: ის შემუშავდა მთელი საუკუნოების განმავლობაში. მაგრამ ამ მუშაობის ნაყოფი ყოველგან და ყოველთვის ერთი და იგივე არ ყოფილა. ზოგან ენა განითარდა შესანიშნავად და საუცხოვრით როგორც სიტყვების სიმდიდრით, ისე ამ სიტყვების სიშვენიერით და სილახით. ზოგან კი არც ერთი მოხდა და არც მეორე. საზოგადოთ ენის განვითარებაში ამხნევენ სამ საფეხურს. პირველ საფეხურზე ენა შედგება ერთ მარცვლოვან სიტყვიდან, რომელზეც საგნების რომელიმე გარეგან უფრო გასაოცარ თვისებას გამოხატვენ. მზავლ ენებს ჯერაც არ გაუვლიათ ეს ხანა. მეორე საფეხურზე ასეთი ერთმარცვლოვანი სიტყვები შეერთებულია, ანუ უფრო მართლთა რომ ვთქვათ, ერთი მეორეზე მიწკეპულა (agglutinés), და თითოეულ იმათგან შენახული აქვს თავისი გარეგანი სახე, ე. ი. გამოთქმა. მესამე საფეხურზე, რომელზედც იმყოფებიან ყველა ინდოევროპული და სემიტური ენები და აგრეთვე ქართულიც, ერთმარცვლოვანი სიტყვები ისე არიან შეერთებულნი, რომ მათი გარჩევა ძნელია. აქ არა თუ ათსწრაზოთ იცვლება სიტყვის ნაკეთები და დაზოლოვებანი, არამედ იცვლება თვით სიტყვის ძირი. ამ ენას ჰქვია ფლექსიური. (სიტყვიდან flexion—ღანა) ადამიანის განაწიერებული ენის აღმოცენებისათვის საჭიროა საზოგადოებრივი ცხოვრება, ვინაიდან ეს ენა გამოთქვამს უწინარეს ყოვლისა თვით ადამიანთა ურთიერთობას. ენის განვითარება კი მჭიდროთ შეკავშირებულია ხალხის მატერიალურ განვითარებასთან. თუ ისტორიას მივმართავთ, დავინახავთ, რომ იმ ერთა ენამ და ლიტერატურამ მიაღწია უმაღლეს საფეხურამდე, რომლებიც ნივთიერებად დაწინაურდნენ. ე. ი. რომლებმაც გააუმჯობესეს თავისი არსებობის მატერიალური პირობები. ხალხი, რომელიც და-

რბია ნივთიერათ, ე. ი. მატერიალური კულტურით, ღარიბია ენითაც, ე. ი. სულიერითაც.

ამნაირათ ენა ვითარდება იმდენათ, რამდენათ ვითარდებიან და რთულდებიან თვით საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ეს არის ზუსტებრივი პროცესის, რომელიც მჭიდროთ შეკავშირებულია როგორც თვით ხალხის საზოგადოებრივ განვითარებასთან, ისე ფიზიკურ და გეოგრაფიულ პირობების ცვლილებასთან. თავის განვითარებაში ენა იცვლება იმდენათ, რომ მის განვითარებულ ფორმაში ჩვენ ადვილათ ვერც კი ვამოვიცნობთ მის პირვანდელ სახეს. „თანამედროვე ინგლისური—ამბობს მაქს მიულერი—იმდენათ განსხვავდება ალფრედის დროის ენიდან, რომ თუ ამ უკანასკნელის გაგება გსურთ, საჭიროა ისე შეისწავლოთ ის, როგორც ესწავლობთ ხოლმე ბერძნულს და ლათინურს.“¹⁾ მაგრამ ეს სრულებით იმას ან ნიშნავს, რომ ვითამც ინგლისური ენა არსებით გამოცვლილია ან სხვა ენაში არეულია. „ინგლისურ ლექსიკონში — განმარტავს იგივე მეცნიერი, — ენათმეცნიერებს შეუძლია აღმოაჩინონ კელტური, ნორმანდული, ბერძნული და ლათინური ელემენტები, მაგრამ ინგლისურ ენის ორგანიზულ სისტემაში ერთი წვეთიც არ უჩვეია; რომელიც უცნო თვისს ეკუთვნის. გრამატიკა, რომელიც შეადგენს ენის სულს, წმინდათ არის შენახული...“²⁾ შერეული ლექსიკონი არა თუ შესაძლებელია, არამედ მიუცლოებელ საჭიროებათ ხდება; ხოლო შერეული გრამატიკა ყოველად შეუძლებელია. შესაძლებელია, სამეზი გაქართულ დღს ან ქართული გარესდეს; ქართველის და სომხის სისტემა ერთმანეთს შეერევა; მარა სომხური ენის გადაქართულება ან ქართლის გადარუსულება არა გზით და არა საშუალებით არ მოხერხდება. თითოეულ ენას აქვს თავისი განსაკუთრებით ორგანიზული შენობა, ავებულება, რომელიც მის გრამატიკულ კანონებში გამოისატება. გრამატიკა შეადგენს ენის არსებით მხარეს, მის ღედა ძარღვს. ამიტომ შესაძლებელია, რომ სრულიად გაწყდეს ეს ძარღვი და ენა მოკვდეს, მაგრამ გრამატიკული კანონების არევა არ შეიძლება, მაშასადამე, ისიც შეუძლებელია, რომ ენების ერთმანეთში შერევისაგან რომელიმე ახალი შერეული ენა წარმოადგეს, როგორც მაგ, ჩვენი მატანე გადმოცემის ქართული ენის შესახებ. მეორე მხრით, თუ შეუძლებელია ენების ერთმანეთში შერევა, კიდევ უფრო შეუძლებელია ენის გამოცემა. ენა ხომ ტანსაცმელი არ

¹⁾ Max Müller. du science de la langue, trad. fran. pp. 35—6.
²⁾ Jhid. p. 77.

*) ის. „გადა“, № 20.

არის, რომ გაცდეს და მეორე შეიკრო. ის არის ბუნებრივი მოვლენა, რომელიც ემორჩილება განსაზღვრულ კანონებს. მის აღმოცენებაში და ზრდა-განვითარებაში შემთხვევითი არაფერი არ არის. ენა ხალხის სულიერი და ნივთიერი განვითარების სრული გამოთქმელი ორგანოა, და ეს ხომ ერთი წლის საქმე არ არის და არც ერთი საუკუნის. ენის სპონტანურობა ნიშნავს თავის კულტურულ შენაძენთა უარყოფას. ეს ხდება მაშინ, როცა ხალხი გადაგვარების და ამოწყვეტის გზას ადგას. ამ შემთხვევაში ჩვენ ვამბობთ, რომ ხალხი ამოწყდა ან გადაგვარდა. მთელი ხალხის გადაგვარება, რასაც უნდა მოყვებს მისი და დედანის მოსპობა, მხოლოდ მაშინ ხდება, როცა კულტურულად ძლიერი ერი იმორჩილებს კულტურულად განვითარებულ ხალხს. ძველ დროში თქვენ იშვიათად შეხვდებით ასეთ მაგალითს. იქ ერთი ხალხის გაბატონება მეორეზე სრულებით გარეგან ძალმომრეობაზეა დამყარებული, ამიტომ ძველ დროში ჩვენ უფრო ხშირად ვხვდებით სხვა და სხვა ხალხთა სრულიად ამოკლებას და ამოწყვეტას, ენის გადაგვარებას. რაც შეეხება იასუსს, რომ ქართველები წინეთ სომხურ ენაზე ლაპარაკობდნენ, ამას არ ამართლებს სომხების ისტორია: ეს უკანასკნელი ჩვენ არ გვეუბნება, სომხები ოდესმე შეადგენდნენ ძლიერ კულტურულ სახელმწიფოს, რომლის გავლენას დამორჩილებიყვენ სხვა სახელმწიფოები და იმათ შორის მთელი საქართველო. სამაგიეროდ გადაგვარების მაგალითის ბევრს იძლევა თანამედროვე ცხოვრება; მაგრამ ამას ჩვენ აქ არ ვხედავთ.

წარსულმა ისტორიამ არ იცის იმისთანა ხალხი, რომელსაც თავის დედანა გამოეცვალა თავისივე სურვილით, და თვით ხალხი კი უცვლელი დარჩენილიყოს, ერთად ერთ მაგალითს, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენ წინადადებას, ებრაელების და სომხების ისტორია წარმოგვცემს. დღეს სულ მცირე ნაწილი ებრაელების თელავაკობის ებრაულ ენაზე, თორემ უმეტეს ნაწილს ეს ენა დღეს დაიწყებული აქვს და სულ სხვა ენებზე ლაპარაკობენ, მაგ., ქართველი ურიები. თითქმის ასეთავე მაგალითს წარმოგვიდგენენ სომხებიც. მაგრამ ჩვენ აქ უნდა მივიღოთ მხედრობაში ის განსაკუთრებით ისტორიული გარემოებანი, რომლებიც ამასათებურ ებრაელების და სომხების ისტორიაშია. ვინ არ იცის ამ ორი ხალხის ისტორიული ვითარება? ებრაელები და რამდენიმე სომხებიც გამოძევებულ იქნენ თავის საბინადრო ადგილებიდან, რის გამო ისინი გაიფარნენ მთელ დედამიწის ზურგზე; ამიტომ ისინი ძალა-უნებურად შეეკედლნენ სხვა-დასხვა ნათესაობის ტომთ; ამ შეკედლებას მოჰყვა იმათი ზნე-ჩვეულების და ენის შეთვისება. უნდა

შენიშნათ, რომ ეს შეთვისება მხოლოდ მრავალი საუკუნოების განმავლობაში ხდებოდა. ³⁾

რაც შეეხება ქართველებს, ისტორია ჩვენ არ გვეუბნება, რომ ისინი ოდესმე გამოძევებული ყოფილიყვნენ თავის საბინადრო ადგილებიდან და სხვა ადგილებში ჩასახლებულნი. ამიტომ ჩვენ არავითარ საჭიროებას არ ვხედავთ, რომ ქართველებს დაუტოვებინათ ერთი ენა და მეორეზე დაეწყათ ლაპარაკი და ისიც შერეულ ენაზე. მართალია, დაბადება მოგვითხრობს ბაბილონის ენათა არევაზე და აკრეთვე იმაზედაც; რომ, მოკიკულებმა ერთ დროს სხვა-დასხვა უცნაურ ენებზე იწყეს ლაპარაკი, მაგრამ ეს სასწაულ მოქმედებაა, და მეცნიერება ხომ ეგრე დამყარება ამხე. ჩვენი მატანის მოთხოვნა ქართული ენის წარმოდგობაზე სწორედ ამ სასწაულ-მოქმედებას მოგვავიწყებს. პირველად ქართლოსიანთა ენა იყო სომხური, ხოლო შემდეგ შემოკრბენ სხვა-დასხვა ტომნი და ნათესაენი: ხაზარნი, სპარსნი, თურქნი, ბერძენნი, ასურელები, ურიები და სხ. ამათ ენები აირადირენ ერთმანეთში და ამ არევისაგან წარმოდგა ქართველების ენა. შესანიშნავია, რომ ამ შერეული ენის გრამატიკული კანონები, მისი ორგანიზმი შენობა, არც ერთ ზევით დასახლებულ ენათა გრამატიკას არ მოგვავიწყებს; ამ მხრით მას (ქართულს) სრულიად დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს, და ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ამ გზით, ე. ი. შერევით, არც ერთი ენა არ წარმომდგარა. რამდენა შემიძლია და უაზროა ქართლის ცხოვრების თქმულების მეორე ნახევარი, სადაც ქართული ენის წარმოდგობაზეა ლაპარაკი, იმდენათ უსაუფლოა ამ თქმულების პირველი ნახევარი. იქიდან ჩვენ ვტოვობილობთ, რომ პირველად ქართლოსიანთა ენა სომხური იყო. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სომხები და ქართველები ერთი საერთო ნათესავისაგან როდი მომდინარეობენ. ამიტომ რა მოსაზრებით შევიძლია ჩვენ აფხნათ, რომ ქართველების სამშობლო ენა სომხური იყო? ან შეიძლება სამშობლო ენა სხვა ჰქონდათ და სომხური ქართველებს შორის შემდეგ გაურკველდა? ისტორია არც ასეთ მოსაზრებას ამართლებს.

³⁾ არც ამ ორი ხალხის მაგალითი ეწინააღმდეგება ავტორის მიერ წარმოთქმულ დედაზრს. კარაქებსა და სომხებსა დატოვებს თავისი ენა არა მოკვარც ხალხმა, არამედ მოკვარც ინდივიდებმა, კერძო პირებმა, რადგანაც ისინი გაფარულნი ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ დღესაც; სოფლი ის ნაწილი, რომელიც ერთად ცხოვრობს კიდევაც ლაპარაკობს სამშობლო ენაზე

ერთი ერთი უძველესი გარემოება, რომელსაც შეიცავს ქართ. ცხოვრების ტიპულება, იმაში მდგომარეობს, რომ ქართულ ენაზე დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა უცხო ენებს. მაგრამ რომელი ენაა ისეთი, რომელზედაც სხვა ენას გავლენა არ ჰქონიადეს? ყველა ენებში—ამბობს მაქს მიულლერი— ინგლისური შეიცავს უდიდეს რიცხვს იმ სიტყვებისას, რომლებიც მომდინარეობენ სხვა-და-სხვა წყაროდან. თითქმის ყველა ქვეყნებში შეუწყვეს ხელი მის გამდიდრებას. იქ თქვენ იპოვით სიტყვებს: ლათინურს, ბერძნულს, ებრაულს, კელტურს, საქსონურს, დანიურს, ფრანგულს, ისპანურს, იტალიურს, გერმანულს და, ასე ვამჩნავთ, ინგლისურ ლექსიკონში ინდიური, მალაური და ჩინური სიტყვებიც კი ურევია.⁵⁾ მაგრამ, როგორც ვიცით, ინგლისური სრულიად დამოუკიდებელი ენაა, რომლის გრამატიკა თავის განსაკუთრებით კანონებს ემორჩილება. ასევე ითქმის სხვა ენებზედაც, ასევე უნდა ვთქვათ ქართულზედაც. ქართულ ენაზე, ანუ უფრო მართლა რომ ვთქვათ, ქართულ ენის ლექსიკონზე, გავლენა ჰქონდა სპარსულს, ბერძნულს, ებრაულს, ასურელს, თურქულს, სომხურს, მაგრამ მისი საფუძვლის, ე. ი. გრამატიკის შექმნა, რაც ენის დღე-ძარღვს, მის არსებით მხარეს შეადგენს, არ ძალუძდა არც ერთ იმათაანს კრძალთ და არც იმათ შერთებულ შეგავლენას სპერით. ენის საფუძველი უნდა ყოფილიყო, სანამ მან სხვა ენები გავლენას იქონიებდენ. მაშასადამე, ქართული ენის საფუძველი იმ დრომდე არსებობდა რომელსაც ჩვენი მატანე მის დასაწყისს აწერს. საკურო მხოლოდ იმის ცოდნა, თუ რას წარმოადგენდა იმ დროს და სპოვადიო პირველ ხანებში ქართული ენა.

ფ. მასანძი.

(დასასრული იქნება)

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

თ. მთავრძეიძის „ივერიაში“ (№ 106) მოათავსეს წყლი, სადაც პრატს მღვს ვითომ ის უსაბუთოთ მომსახურებისაზე წარდგის სენაის სკოლის შესასვლს. საბუთთ ზემო უსაბუთობისა მოჭყავს შექველი: შემჭკველით საქმეებში ზემო სელ-ნაწერ განცხადებასაც გაცნობა და წაიკითხავ; იქ ცხადთ ნასაქდა თუ რამ მამულა უარის თქმა. მაქვს მტკივი მოგასხენო ბ. მთავრძეიძის, რომ მისი „სელთ-ნაწერი განცხადება“ არ

არის საქმეში ჩაყრებული, ძალიან ბერძენი ვეძებ შე და ზემო თხროთი წ. გ. ს. ს. მდიანმა ბ. კარგაშვილის, მარკ ვერსად ვიპოვეთ. საქმეში მოსხენულია მხოლოდ: ბ. მთავრძეიძის უარი თქვა სენაის სკოლის ინსპექტორებაზე, სოლო მიზეზი უარის თქმის არ არის ნაჩვენები. მაშ საიდან უნდა მგოდნოდ ეს მიზეზი? ბ. მთავრძეიძე არის ქუთაისის სათავად-პრინციპალ სკოლის მასწავლებელი, სოლო ამ სკოლას განაგებს ქუთაისის სასწავლებლო კომიტეტი. უკანასკნელი წინააღმდეგი იყო წ. გიოს. ს. ს. გამგეობის განჩენის. ბ. მასწავლებელი არ დათანხმდა მანვე გამგეობის დადგენილებას, ნუ თუ აქედან ცხადი არ არის, რომ კომიტეტი და მასწავლებელი თანხმობით მოქმედებდნენ ეს შეგონება სავაჭრის საბუთათ, სოლო თქვენ წარდიდის საბუთის ცე გერსად ესუავთ.

ნ. შ.

ახალი სენი ჩვენ შედაგოგიაში.

რეკლამა, რომელიც ბ. ალ. ნათაძემ „სწობ. ფურც.“ დასტამა (იხ. № 491 98 წ.), ბოლო დროს ცალკე ფურცლებზე დაბეჭდვინა, გვერდში ამოუყენა რუსული განცხადება სხვა რედაქციით და დაურიცხ თვილისისა და ქუთაისის ვუბერნიის სასოფლო სკოლების მასწავლებელთ არა თავისი სახელით, არამედ სულ სხვათა სახელებით და ახალი გზით, — რომ ნებით უარყოფილი უდღეო „ბავშვების მოკეთ“ ძალათ მოახვიოს თავზე საოფლის მასწავლებლებს...

თითონ ეს ორ ენოვანი რეკლამა-განცხადება, რომელიც ცალი ყბით ჩვენთვის ლაპარაკობს, ხოლო მეორით — სხეებისათვის, მეტათ საყურადღებოა, უადგილობის გამო რუსულ-ქართული განცხადებათა აქ მოყვანა არ შემიძლია, ვიტყვი მხოლოდ, რომ ქართულათ სიტყვა-სიტყვით ის არის დაბეჭდილი, რაც „სწობ. ფურც.“ შემოხსენებულ ნომერშია. თუმცა რუსული განცხადებას შოვნა თვილისში აღვილი საქმე არ არის, მაგრამ ვინც მოინდომებს ამასაც მოახერხებს და თითონ თავისი კეთილი თვალთ იხილავს, რომ ამ ორ განცხადებას შუა უძმეს დიდი მზღარი, რუსულ განცხადებაში ბ. ნათაძე ჩივის, რომ რაციონალურათ შედგენილისა და ხელ მისაწლომ ფასათ სახელმძღვანელოების უქონლობა აფერხებს წერა-კითხვის გავრცელებას და ამიტომ მე მინდა შეძლებისა დაგვართ დავენმარო ამ საქმესაო. რამდენათ რაციონალურათ არის შედგენილი ახირებული სახელმძღვანელო, ეს თავის დროზე საკმარისათ გამოაშქარავს რეცენზენტებმა ქართულ ყველა ჟურნალ-გაზეთებში. რამდენათ იაფათ ეს პირ-

5) იხ. ბ. ბ. გვ. 80.

გელ დაწყებითი წიგნი ამას შემდეგ გაცივებთ. ახლა კი შევადაროთ ერთმანეთს ორი რეკლამა. ქართული განცხადებით ბ. ნათაძეს მიუღია აუარაკული გამამსწვეველი და მასწავლებლებსაგან წერილები მშობლებსა და მასწავლებლებსაგან. რუსულში კი ეს სიტყვები გაუჩინებელია. (მიზანი ცხადია). ქართული განცხადებით პირველი გამოცემა მარადთ გაუყიდნია და ამის გამო მეორეს იწყებს, რუსულთი კი პირველი ეგრე გაუყიდნია და ფასს აკლებს, ვითომ და ღარიბების შიშვალის გამო.

პირველი გამოცემის გაყიდვა—მტკნარი სიტყვაა. ჩვენ ნამდვილათ ვიცით, რომ გაყიდული აქვს მხოლოდთ მცირეოდენი ნაწილი.

ჩვენებური განცხადებით „ბავშ. მოკეთ.“ გამოცემულია მთელი ამხანაგობა (ჩათა ქართველ საზოგადოებას აფიქრებოთ: მთელი ამხანაგობა, წრე თანაუკრძობს ბ. აღ. ნათაძის აქა-ბაჟას).—რუსული განცხადებით კი გამოცემულია გამოდის მარტო თითონ ა. ნათაძე. (აქაც იმიტომ, რომ იფურქონ სადაც ჯერჯერობა: საწყალ „მოღვაწეს“ გამოცემებში კი ვერ უშვებია ქართველებში და ობლათ დარჩენილა). რუსული განცხადებით ფასს უკლებს პირველ გამოცემას, ქართული განცხადებით კი ის ფასის დაკლება იგულისხმება მეორე გამოცემაზე, რადგანაც პირველი თითქმის გაყიდული გამოდის. ქართული განცხადებით წიგნაკი მხოლოდთ მოწონებულია (ზედაც „одобрено“ აწერია). რუსულთ კი „одобрено и рекомендовано“. „рекомендовано“—სიტყვაა. ეს ჩვენ ნამდვილათ ვიცით. მაშრათ შეირცხენია თან მეტიარა მასწავლებელმა საზოგადოებასთან ან თვით იმათთან, ვისაც რეკლამა დაარჩებინა და ასეთი ცოცხალი ტყუილი რისთვის გამოაინა? რომელი ლოღოკური მოსახრებით ხელმძღვანელობდა „მოკეთის“ ავტორი, როდესაც მთაერობის „одобрено“-ს თავისი „рекомендовано“ დააწილა?

სიტყვებ და ორპირობა აენებს ხორცსა, მერე სულსა..

ამ ვაგბატონმა მოინდობა და ძალათაჲ მოინდობა მასწავლებლებისა და მთელი საზოგადოების თვალების აბმა. ჩემი წიგნაკი იაუიარა. მოდი ერთი სიაფეშიც შევადაროთ იმ წიგნს, რომელსაც ბ. ნათაძე აწმანებს თავის „მოკეთს“. ბ. ნათაძის წიგნაკი შეიცავს მხოლოდთ ერთი წლის კურსს, მოკლებულია დედანსა და მოთხრობებს საღმრთო ისტორიიდან, მოკლებულია აგრეთვე საწინების ჯგუფების სურათებს, რომელნიც თვალ-საზირო სწავლისათვის საჭირონი არიან, რის გამო ბავშვმა უნდა იყიდოს ქართული დედანი, რომელიც ღირს 20 კაპ. და საღმრთო ისტორია, რომლის უკანასკნელი ფასია 25 კ.

უნდა იყიდოს აგრეთვე მეორე კაპიტხაი წიგნი, რომელიც 40 კაპ. ღირს, ან ამოდნა ხარჯს ადებს სკოლასა და მშობლებს ჩენი ქველმოქმედი პედაგოგი თავისი წიგნაკის სილატაკით. „დედა-ენას“ კი ბავშვი იძენს 32—40 კა და იგი ყოფნის მას საკითხაზე წიგნათ თითქმის მთელი ორი წელიწადი, იპყრობს სრულ ქართულ დედანს, მრავალი სადენდო სურათებით მთავარ მოთხრობებით ძველი და ახალი ისტორიიდან და სხ.. ერთი სიტყვით, შეიცავს ყველა იმას, რაც საჭიროა ყმაწვილისათვის თითქმის ორი წლის განმავლობაში. და ამის გამო ერთი ორათ და სამათ უფრო იაფთ უჯდება ვიდრე ფას დაკლებული ვითომ და „მოკეთ“.

ახლა ერთი ის ვიცითხოთ, მამ რა ყოფილა ის ორ ენოენი განცხადება, რომელიც ვაგბენიერებას გეიქადის? ის ყოფილა და არის თავის ქების ანუ თავის ტუნს ბართი. მელდქნური რეკლამა, დამაღლემზალი საჭიროების „რასპროდავის“ განცხადების ფურცლები, თვლისისა ქუჩებში რომ დაარჩებენ ხოლმე „съ почтением“. აი რა ჯურის კაცთანა გეაქვს საქმე, აი ენ ვაოტინება ქართველი ახალთათობის წინამძღოლობას, მთ ვონება-ხნეობის ხელმძღვანელობას!..

ი. გამაღვაური.

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართული წიგნის მალაზებში მ. ა. ბარძალაიის მიერ გამოცემული ახალი წიგნი

სამღეროო გამოცხადებუი

(ზმა კიდურები ჩვენს მოღვაწეებს)

ი. ნ. ტ. დადიანისა

წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ღირს 15 კაპ. ვინც ას წიგნს ერთათ იყიდის გამოცემლისაგან ქ. ქუთაისში დაეთობა მანეთზე ერთი აბაზი.

(10—10)

„ქაღლის“ და „გაჟილის“ რედაქცია ბადედის 10 იენისიდან საკუთარ სახლში: არბილმარისი ქუჩა, № 5, ქაღლის ქორაჟის გამარდით სწორეთ იმის პირდაპირ, სადაც ახლა რედაქცია იყოფება.

რედაქცია-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.